



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი  
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა  
უმალლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 10.04.2020

დასკვნის წარდგენის თარიღი: 27.05.2020

თბილისი  
2020

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	220407888
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა
განათლების საფეხური	-
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	-
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	60 ECTS
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მიხეილ გიორგაძე, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ელენე კიკალიშვილი, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	-
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	-
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	-

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

### ▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სსიპ-შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამამ აკრედიტაცია გაიარა 2012 წელს. პროგრამა წარმოდგენილია რეაკრედიტაციისთვის.

პროგრამის მიზანი მოიცავს სტუდენტებში ენობრივი კომპეტენციის განვითარებას, რაც წარმოადგენს მათ სასწავლო პროცესსა და სამოქალაქო საზოგადოებაში სრულფასოვნად ინტეგრაციის წინაპირობას.

პროგრამაზე სწავლების ხანგრძლივობა ორი სემესტრია და მოცავს 60 ECTS კრედიტს. რეაკრედიტაციისთვის განახლებულ პროგრამაში მნიშვნელოვანი ცვლილება შეეხო დიფერენცირებული სტრუქტურის ჩამოყალიბებას, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი გახდა სტუდენტის ენის ფლობის დონის გათვალისწინება. კერძოდ, პროგრამა ითვალისწინებს ორ სხვადასხვა ბლოკს სტუდენტების ენობრივი დონის შესაბამისად. სწავლის დაწყებამდე სტუდენტი გაივლის პრეტესტს და მისი ენობრივი კომპეტენციის მიხედვით განაგრძობს სწავლას შესაბამისი დონიდან.

პირველ სემესტრში შეთავაზებული კურსები წარმოდგენილია ორ ბლოკად - პირველ და მეორე ბლოკად. სტუდენტი გადის პირველ ან მეორე ბლოკს. ბლოკებზე გადანაწილება ხორციელდება ენის ფლობის დამდგენი ტესტის შედეგების საფუძველზე.

პირველ ბლოკში შემავალი კურსები ისეა აგებული, რომ უზრუნველყოს ამ ბლოკის სტუდენტთა ენობრივი კომპეტენციების დაახლოება მეორე ბლოკის სტუდენტთა კომპეტენციებთან პირველი სემესტრის ბოლოს. კერძოდ, დათმობილი აქვს გაცილებით მეტი საკონაქტო საათი. სწავლების მეთოდები და სტრატეგიები ენის ინტენსიური სწავლების კონტექსტში განიხილება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამის სტრუქტურა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

პროგრამა მოიცავს ორ მოდულსა და 6 სასწავლო კურსს (პირველ სემესტრში გასავლელი სასწავლო კურსების რაოდენობა შეადგენს 1 მოდულს - მოდული ქართული ენის სამეტყველო ფუნქციები 1- 20 ECTS , რომელიც შედგება ოთხი 5 კრედიტიანი კურსისაგან (წერა, კითხვა, მოსმენა, ლაპარაკი) - და 2 სასწავლო კურსს, რომლებიც წარმოდგენილია ორ A და B ბლოკად (ენის ფლობის დონის შესაბამისად).

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პროგრამაზე სააკრედიტაციო ვადის ფარგლებში არ ჩარიცხულა სტუდენტი. შესაბამისად, პროგრამას არ ყავს სტუდენტი და კურსდამთავრებული. აქედან გამომდინარე, რეაკრიდატიისთვის წარმოდგენილი პროგრამის შინაარსი და მასში განხორციელებული ცვლილებები ეყრდნობა მარეგულირებელ დოკუმენტებს, მათ შორის „ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის“ დარგობრივი მახასიათებლის.

▪ **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით, სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დისტანციური შეფასება, კომუნიკაციების თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა განხორციელდა 2020 წლის 10 აპრილს.

სამუშაო პროცესი დატვირთული სამუშაო დღის რეჟიმში წარიმართა. უნივერსიტეტის წარმომადგენლები ხელს გვიწყობდნენ მუშაობაში. დღის წესრიგით დაგეგმილი ყველა შეხვედრა შედგა და მოხდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება.

▪ **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

საგანმანათლებლო პროგრამა აკმაყოფილებს ხუთივე სტანდარტის შესაბამის მოთხოვნებს.

▪ **რეკომენდაციები**

- პროგრამის ერთ-ერთ მიზნად განსაზღვრულია **ეროვნულ-კულტურული ღირებულებების გაცნობა და ინტეგრაცია**, რაც აისახება კურსის „ქართული ენის სამეტყველო ფუნქციები (მოსმენა)“ ფარგლებში მისაღწევ შედეგებში შემდეგი ფორმულირებით - შეუძლია განსხვავებული ენობრივ-კულტურულ

თვითმყოფადობისა და ღირებულებების გაცნობა, დაფასება და პატივისცემა. კურსის „ქართული ენის სამეტყველო ფუნქციები (მოსმენა)“ ფარგლებში არ არის გათვალისწინებული ისეთი თემატიკა, რომელიც მიმართული იქნება ზემოაღნიშნული კომპეტენციის განვითარებაზე.

- პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია ასევე შიდასაუნივერსიტეტო ენის ფლობის დონის დამდგენი ტესტი. აღნიშნული ტესტირება არ წარმოადგენს პროგრამაზე დაშვების წინაპირობას, არამედ ის უკვე ჩარიცხულ პირთა A და B ტიპის ჯგუფებში განაწილების ინსტრუმენტია მათი ენის ფლობის დონის გათვალისწინებით. აქედან გამომდინარე, პროგრამის აღწერაში გამოიყოს ცალკე გრაფა, ჩარიცხულ პირთა ჯგუფებში განაწილების პრინციპის შესახებ ინფორმაციისთვის ან ის მიეთითოს პროგრამის სტრუქტურის ნაწილში შენიშვნის სახით. ასევე შესაძლებელია, იმავე გრაფაში (პროგრამაზე დაშვების წინაპირობის გრაფა) შენიშვნის სახით გამოიყოს ეს ინფორმაცია და მიეთითოს, რომ აღნიშნული ტესტირების შედეგების საფუძველზე მოხდება უკვე ჩარიცხული სტუდენტების A და B ჯგუფებში გადანაწილება;
- ვინაიდან პროგრამის მიზანი სხვა ენობრივ უნარებთან ერთად სტუდენტებში მოსმენის უნარის განვითარებაცაა, სასურველია, მეორე სემესტრისთვის განსაზღვრულ მოდულში დაემატოს მოსმენის კომპეტენციის განმავითარებელი კურსი ან ამავე სემესტრში განსაზღვრულ კურსებში დაემატოს მოსმენის კომპეტენციის განმავითარებელი თემატიკა;
- სასურველია, შეფასების კომპონენტები ინდივიდუალურად იყოს მორგებული ცალკეულ კურსებზე სპეციფიკის გათვალისწინებით. ვინაიდან პროგრამა პრაქტიკულ კურსებს მოიცავს, ხშირ შემთხვევაში გაუგებარია რას მოიცავს თეორიული ცოდნის შეფასება მსგავს კურსებში. სასურველია, მაგალითად, მოსმენის კურსში შეფასდეს მოსმენის კომპეტენციები. წერის ან კითხვის კურსშიც ინდივიდუალური შეფასებები იყოს გაწერილი;

- რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, შედეგებისა და კომპეტენციების ნაწილში ცოდნისა და უნარების სფეროები იყოს მკაფიოდ ფორმულირებული. გარკვეულ შემთხვევებში გამიჯნული იყოს რა იცის სტუდენტმა და რა პრაქტიკული უნარის გამოუმუშავდება ამის საფუძველზე. მაგალითად: „გარდაქმნის ლექსიკურ მარაგს სინტაქსური და მორფოლოგიური წესების გამოყენებით გააზრებულ გამოთქმებად და აგებს ქართული ენის ნორმების შესატყვის კონსტრუქციებს“ - ლექსიკური მარაგის სწორ ფორმად გარდაქმნა უნარია. შესაბამისი ფორმულირება იქნებოდა: იცის საუბრისა და წერის სტრატეგიები;
- მეორე სემესტრისთვის განსაზღვრული კურსებში, სასურველია, თემატიკა ისე იყოს ადაპტირებული ენის სწავლებასთან, რომ სტუდენტებმა პრეზენტაციის, აკადემიური წერის უნარები შეისწავლონ ენის შესწავლაზე ორიენტირებული ტექსტებითა და თემატიკით. სტუდენტი დაეუფლოს სხვადასხვა ენის შესასწავლი თემებით პრეზენტაციას. შეისწავლონ აკადემიური მუშაობის ტექნიკები B1 და B2 დონის შესაბამისი თემატიკით;
- არჩევითი კურსი - ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკა - მთლიანად ეფუძნება სომხურენოვან დამხმარე ლიტერატურას. სასურველია, კურსის ფარგლებში მოძიებული იყოს ასევე ლიტერატურა სხვა ეთნიკური ჯგუფებისთვისაც - მაგალითად აზერბაიჯანულენოვანი სტუდენტებისთვის;
- კითხვის სტრატეგიებში იყოს შესაბამისი სირთულის ან ადაპტირებული ტექსტები მითითებული. ლიტერატურული ტექსტები თუ არ იქნა შესაბამის დონეს მორგებული, რთული იქნება ასათვისებლად;

- სასურველია, კურსის- ქართული ენის ორთოეპია და მეტყველების კულტურის საკითხები - თემატიკა ინტეგრირებული იყოს სხვა კურსში, აღნიშნული კრედიტი კი სხვა კომპეტენციის ათვისებას დაეთმოს;
- სასურველია, ქართულ ენაში მომზადების სტუდენტებისთვის კურიკულუმის ფარგლებში დაიგეგმოს გარე აქტივობები ქალაქში (მინი პროექტები), რაც სტუდენტებს შესაძლებლობას მისცემს გაეცნონ ადგილობრივ ყოფა ცხოვრებას, დაწესებულებებს, რაც ხელს შეუწყობს მათ გარემოში ინტეგრაციას;
- სასურველია, კონკრეტული სილაბუსისთვის სწავლების მეთოდები გააზრებული და გაწერილი იყოს ინდივიდუალურად;
- სასურველია, პროგრამის განმახორციელებელი ლექტორები დაეყრდნონ უცხოური ენის (მაგ.: ინგლისური, გერმანული) სწავლების თანამედროვე მეთოდებს, გაიარონ კონსულტაციები ინგლისური ენის პრაქტიკოს პედაგოგებთან ან ენის ცენტრებთან (მაგ.: ბრიტანეთის საბჭო) და კურსებში კომუნიკაციურ სწავლებაზე ორიენტირებული შინაარსის თემატიკა დაგეგმონ.
- სასურველი იქნებოდა, შემუშავებული პროგრამის შეფასება განეხორციელებინა პარტნიორ უნივერსიტეტს ან რომელიმე საერთაშორისო ენების ცენტრს (ბრიტანეთის საბჭო, გოეთეს ინსტიტუტი და სხვ.);
- პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი წარმოადგენს ინსტრუმენტს, რომელიც საშუალებას იძლევა გაანალიზდეს აკრედიტაციის სტანდარტებთან პროგრამის შესაბამისობის ხარისხი. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, აღნიშნულ დოკუმენტში დეტალურად იყოს აღწერილი პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით. ინტერვიუებიდან დგინდება, რომ თვითშეფასების დოკუმენტი სრულად არ ასახავს უნივერსიტეტის შესახებ ყველა მნიშვნელოვან ინფორმაციას. სასურველია, თვითშეფასების დოკუმენტი იყოს უფრო მეტად ინფორმაციული, სადაც დეტალურად იქნება აღწერილი პროგრამა თითოეული

სტანდარტის მიხედვით და მოყვანილი იქნება რელევანტური მტკიცებულებები და გაზომვადი მახასიათებლები;

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)
  - უნივერსიტეტში არის სივრცე, რომელიც აღჭურვილია ადრეული და სკოლამდელი ასაკის ბავშვის გასართობი ინვენტარით. აღნიშნულ სივრცეს ემსახურება სპეციალისტი და მიზნად ისახავს სტუდენტი დედების განათლების ხელშეწყობას. შვილიან სტუდენტებს შეუძლიათ მათი ლექციებზე ყოფნის პერიოდში, შვილი დატოვონ აღნიშნულ სივრცეში.
- განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)



## პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

#### 1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.

#### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, საქართველოს იმ მოქალაქეებისთვის, ვინც დაამთავრა არაქართულენოვანი სახელმწიფო სკოლა, მისცენ შესაძლებლობა, ერთი წლის მანძილზე ისწავლოს ქართული იმ დონეზე, რომ შეძლოს სასურველ პროგრამაზე საბაკალავრო საფეხურზე სწავლის გაგრძელება.

მიზნებიდან გამომდინარე, პროგრამა შეიცავს ინტერკულტურული სწავლის კომპონენტს, რაც უზუნრველყოფს მათ როგორც სასწავლო პროცესში, ასევე სამოქალაქო საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობას.

მოცემული მიზნები რამდენიმე ძირითად მიმართულებად არის ჩამოყალიბებული:

- ენობრივი კომპეტენციების განვითარება;
- საწავლო გარემოსთან ადაპტირების ხელშეწყობა;
- სამოქალაქო საზოგადოებასთან ინტეგრირების ხელშეწყობა.

ენობრივი საშუალებები, ქართული ენობრივ-კულტურული ღირებულებების გაცნობა, ზემოაღნიშნული მიზნების მიღწევის ინსტრუმენტებს წარმოადგენს.

პროგრამა მოიცავს 60 კრედიტს და მისი ხანგრძლივობა არის 1 წელი, რაც საკმარისია საშუალო და მაღალი ენობრივი ცოდნის მქონე სტუდენტებისთვის პროგრამის მიზნის მისაღწევად.

როგორც პროგრამის აღწერიდან, ასევე ინტერვიუებიდან ნათლად იკვეთება, რომ პროგრამას აქვს კონკრეტული მიზანი, კერძოდ, საბაკალავრო საფეხურზე

სწავლისთვის სტუდენტების ენობრივად მომზადება და მათი სასწავლო პროცესებში ჩართვის ხელშეწყობა. გასათვალისწინებელია ის გარემოცვა, რომ წარმოდგენილი პროგრამის მიზნების მიღწევა შესაძლებელია 60 კრედიტზე გადანაწილებული სასწავლო კურსების ფარგლებში, რომლის ათვისებაც განხორციელდება ერთი წლის განმავლობაში. პროგრამის მოცულობა არ იძლევა იმის შესაძლებლობას, კურსდამთავრებულმა შეძლოს ნებისმიერი ტიპის ტექსტების შექმნა და გააზრება ნებისმიერი აუდიტორიისთვის, იქნება ეს პროფესიული თუ ყოფითი ენობრივი გარემო. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, წარმოდგენილი პროგრამის მიზნები ასახავდეს კონკრეტულ ინდიკატორებსა და გაზომვად ენობრივ კომპეტენციებს. მაგალითად, პროგრამის მიზნების პირველი პუნქტის გაცნობისას (*ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია: კომუნიკაცია ქართულ ენაზე სხვადასხვა მიზნით, სხვადასხვა აუდიტორიისთვის, სხვადასხვა ტიპის (როგორც კითხვითი, ასევე წერილობითი) ტექსტების ადეკვატურად გაგება (ტექსტის სტრუქტურაში გარკვევა და მის ნაწილებს შორის კავშირის გააზრება), არჩეულ საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის გაგრძელება, წარმატებული სოციალური და პერსონალური ურთიერთობების დამყარება*) ბუნდოვანი რჩება კონკრეტულად რა ტიპის აუდიტორიისთვის რომელი ტიპის ტექსტების შექმნასა და გაგებას შეძლებს სტუდენტი პროგრამის დასრულების შემდეგ.

პროგრამის აღწერისას მნიშვნელოვანია ასევე სამეცნიერო დარგობრივ ლიტერატურაში დამკვიდრებული ტერმინების გამოყენება. დარგობრივი ტერმინოლოგიის გათავალისწინებით ტექსტი შეიძლება იყოს წერილობითი ან ზეპირი. პროგრამის მიზნების იმავე პირველ პუნქტში ტექსტის ტიპების ჩამონათვალში გამოყენებულია ტერმინი „**კითხვითი ტექსტი**“ და არა ზეპირი ტექსტი - *ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია: კომუნიკაცია ქართულ ენაზე სხვადასხვა მიზნით, სხვადასხვა აუდიტორიისთვის, სხვადასხვა ტიპის (როგორც კითხვითი, ასევე წერილობითი) ტექსტების ადეკვატურად გაგება.*

გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამა არის მოსამზადებელი საფეხურის, მისი პირდაპირი მიზანი ვერ იქნება შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი კუსდამთავრებულების მომზადება და მათი დასაქმების ხელშეწყობა პროგრამის დასარულების შემდეგ. მითუმეტეს, იქვე მიზნებში ხაზგასმულია, რომ პროგრამის ფარგლებში შეძენილი ენობრივი და ინტერკულტურული კომპეტენციები ხელს შეუწყობს კურსდამთავრებულის საბაკალავრო საფეხურზე სწავლის გაგრძელებას. აქედან გამომდინარე, სასურველია, პროგრამის მიზნების მეორე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: **ხელი შეუწყოს არაქართულენოვანი მოქალაქეების უნივერსიტეტის სასწავლო გარემოსთან ინტეგრაციასა და საუნივერსიტეტო ცხოვრებაში მათ აქტიურ ჩართვას.**

პროგრამაზე დაშვების წინაპირობების გათვალისწინებით, პროგრამაზე შეიძლება ჩაირიცხოს პირი, რომელმაც მიიღო სრული ზოგადი განათლება და წარამტებით ჩააბარა ერთიანი ეროვნული გამოცდების ზოგადი უნარების ნაწილი. აქედან გამომდინარე, პროგრამის მიზნების მეორე პუნქტში - გააცნოს სტუდენტს ქართული ენობრივ-კულტურული ღირებულებები, რათა ხელი შეუწყოს ეროვნული უმცირესობების, როგორც სრულფასოვანი მოქალაქეების აღზრდას, მათ სამოქალაქო საზოგადოებაში ინტეგრაციას - გამოყენებული ტერმინი „აღზრდა“ რელევანტური იქნებოდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო ან საშუალო საფეხურის მიზნების ფორმულირებისას, რომელი საფეხურებიც პროგრამის მონაწილეს უკვე გავლილი აქვს.

პროგრამის მიზნების უნივერსიტეტის მისიასთან შესაბამისობა დასტურდება ინტერნაციონალიზაციის პროცესში პროგრამის წვლილით. ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა უნივერსიტეტის მისიის ერთ-ერთ მთავარ მისიას წარმოადგენს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- უნივერსიტეტის მისია;
- თვითშეფასების დოკუმენტი

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- პროგრამის მიზნების პირველი პუნქტი *“ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია: კომუნიკაცია ქართულ ენაზე სხვადასხვა მიზნით, სხვადასხვა აუდიტორიისათვის, სხვადასხვა ტიპის (როგორც კითხვითი, ასევე წერილობითი) ტექსტების ადეკვატურად გაგება და შექმნა (ტექსტის სტრუქტურაში გარკვევა და მის ნაწილებს შორის კავშირის გააზრება)”* არ არის კონკრეტული და ფორმულირებულია ზოგადად. ვინაიდან პროგრამას აქვს კონკრეტული მიზანი, კერძოდ, საბაკალავრო საფეხურზე სწავლისთვის სტუდენტების ენობრივად მომზადება, სასურველია, პროგრამის მიზნები აღწერდეს კონკრეტულ ინდიკატორებს და გაზომვად ენობრივ კომპეტენციებს. კერძოდ, სასურველია, მიზნებში კონკრეტულად განისაზღვროს რომელი აუდიტორიისთვის რა ტიპის ტექსტების შექმნასა და გაგებას შეძლებს სტუდენტი პროგრამის დასრულების შემდეგ;
- პროგრამის მიზნების იმავე პირველ პუნქტში ტექსტის ტიპების ჩამონათვალში გამოყენებულია ტერმინი „კითხვითი ტექსტი“ - *ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია: კომუნიკაცია ქართულ ენაზე სხვადასხვა მიზნით, სხვადასხვა აუდიტორიისთვის, სხვადასხვა ტიპის (როგორც კითხვითი, ასევე წერილობითი) ტექსტების ადეკვატურად გაგება.* სასურველია, პროგრამის მიზანში ტექსტის ტიპების ფორმულირებისას გამოყენებული იყოს ტერმინი „ზეპირი ტექსტები“;
- გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამა არის მოსამზადებელი საფეხურის, მისი პირდაპირი მიზანი ვერ იქნება შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი კუსდამთავრებულების მომზადება და მათი დასაქმების ხელშეწყობა პროგრამის დასრულების შემდეგ. მითუმეტეს, მიზნებში ხაზგასმულია, რომ პროგრამის ფარგლებში შექმნილი ენობრივი და ინტერკულტურული კომპეტენციები ხელს შეუწყობს კურსდამთავრებულის საბაკალავრო საფეხურზე სწავლის გაგრძელებას. აქედან გამომდინარე, სასურველია,

პროგრამის მიზნების მეორე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: ხელი შეუწყოს არაქართულენოვანი მოქალაქეების უნივერსიტეტის სასწავლო გარემოსთან ინტეგრაციასა და საუნივერსიტეტო ცხოვრებაში მათ აქტიურ ჩართვას.

- პროგრამის მიზნების მეორე პუნქტში - გააცნოს სტუდენტს ქართული ენობრივ-კულტურული ღირებულებები, რათა ხელი შეუწყოს ეროვნული უმცირესობების, როგორც სრულფასოვანი მოქალაქეების აღზრდას, მათ სამოქალაქო საზოგადოებაში ინტეგრაციას - გამოყენებული ტერმინი „აღზრდა“ რელევანტური იქნებოდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო ან საშუალო საფეხურის მიზნების ფორმულირებისას, რომელი საფეხურებიც პროგრამის მონაწილეს, პროგრამაზე დაშვების წინაპირობის გათვლისწინებით, უკვე გავლილი აქვს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასურველია, ტერმინი „აღზრდა“ შეიცვალოს ტერმინით „ჩამოყალიბება“ და აღნიშნული პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად - გააცნოს სტუდენტს ქართული ენობრივ-კულტურული ღირებულებები, რათა ხელი შეუწყოს ეროვნული უმცირესობების, როგორც სრულფასოვანი მოქალაქეების ჩამოყალიბებას, მათ სამოქალაქო საზოგადოებაში ინტეგრაციას.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

### 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;

- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

### **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამის სწავლის შედეგებში გაწერილია კურსდამთავრებულისთვის საჭირო ცოდნა და უნარები. ცოდნის ნაწილში მოიაზრება სინტაქსური და მორფოლოგიური ცოდნის საფუძველზე ტექსტის სწორად აგება, ენობრივი ფორმების ცოდნა, ზეპირი და წერილობითი ტექსტების ცოდნა. სხვადასხვა წერილობითი და წერითი სტრატეგიების ცოდნა.

უნარების ნაწილში გაწერილია ენის მაღალ დონეზე ფლობისთვის აუცილებელი ოთხივე კომპეტენცია (წერა, კითხვა, ლაპარაკი, მოსმენა).

აქვე უნდა აღინიშნოს, შედეგებისა და კომპეტენციების ნაწილში ცოდნისა და უნარების სფეროები ხშირად ერთმანეთში არეულია. აუცილებელია ცოდნის ნაწილის მკაფიო ფორმულირება.

პროგრამის აღწერში (კურიკულუმში) სწავლის შედეგებისა და კომპეტენციის ნაწილში, კერძოდ, ცოდნის სფეროში გაწერილი ცალკეული კომპეტენციები უნარს წარმოადგენს და არ მიეკუთვნება ცოდნის სფეროს. მაგალითად: „გარდაქმნის ლექსიკურ მარაგს სინტაქსური და მორფოლოგიური წესების გამოყენებით გააზრებულ გამოთქმებად და აგებს ქართული ენის ნორმების შესატყვის კონსტრუქციებს“ - ლექსიკური მარაგის სწორ ფორმად გარდაქმნა უნარია. შესაბამისი ფორმულირება იქნებოდა: იცის საუბრისა და წერის სტრატეგიები მაღალ დონეზე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამაში გაწერილ მიზნებთან მიმართებაშიც კომპეტენციებში ნაწილობრივი თანხვედრაა. მაგალითად, პროგრამის მიზნებში წერია, რომ პროგრამის მიზანია ეროვნულ-კულტურული ღირებულებების გაცნობა და ინტეგრაცია. პროგრამის შედეგებში სასურველია იყოს მითითებული, რომ კურსდამთავრებულს შეუძლია კულტურული ღრებულებების დაფასება და იდენტიფიცირება, იცნობს საქართველოსა და სხვა ქვეყნების უერთიერთობის ისტორიას. შემდგომში იგივე გათვალისწინებული უნდა იყოს პროგრამის კურსების თემატიკაშიც.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა;
- თვითშეფასება;
- ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

პროგრამის ერთ-ერთ მიზნად განსაზღვრულია **ეროვნულ-კულტურული ღირებულებების გაცნობა და ინტეგრაცია**, რაც დეკლარირებულია კურსის „ქართული ენის სამეტყველო ფუნქციები (მოსმენა)“ სწავლის შედეგებში შემდეგი ფორმულირებით - შეუძლია განსხვავებული ენობრივ-კულტურულ თვითმყოფადობისა და ღირებულებების გაცნობა, დაფასება და პატივისცემა. კურსის „ქართული ენის სამეტყველო ფუნქციები (მოსმენა)“ ფარგლებში არ არის გათვალისწინებული ისეთი თემატიკა, რომელიც მიმართული იქნება ზემოაღნიშნული კომპეტენციის განვითარებაზე.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

სასურველია, შედეგებისა და კომპეტენციების ნაწილში ცოდნისა და უნარების სფეროები იყოს მკაფიოდ ფორმულირებული. გარკვეულ შემთხვევებში გამიჯნული იყოს რა იცის სტუდენტმა და რა პრაქტიკული უნარის გამოუმუშავდება ამის საფუძველზე. მაგალითად: „გარდაქმნის ლექსიკურ მარაგს სინტაქსური და მორფოლოგიური წესების გამოყენებით გააზრებულ გამოთქმებად და აგებს ქართული ენის ნორმების შესატყვის კონსტრუქციებს“ - ლექსიკური მარაგის სწორ ფორმად გარდაქმნა უნარია. შესაბამისი ფორმულირება იქნებოდა: იცის საუბრისა და წერის სტრატეგიები.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			

**2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა**

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

<b>2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები</b>
<p>უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.</p> <p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ პროგრამაზე დაშვება ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად, არის თვალსაჩინო, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი.</li> <li>○ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის საფუძველია ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი, სომხურენოვანი, აფხაზურენოვანი და ოსურენოვანი ტესტების ჩაბარება.</li> </ul>



<ul style="list-style-type: none"> <li>○ კურსიკულუმში პროგრამაზე დაშვების წინაპირობის გრაფაში მოცემულია ასევე ინფორმაცია შიდასაუნივერსიტეტო ენის ფლობის დონის დამდგენი ტესტირების შესახებ. აღნიშნული აგრემოება დაბნეულობას იწვევს, რადგან ენის ფლობის დონის დამდგენი ტესტირება არ წარმოადგენს პროგრამაზე დაშვების წინაპირობას, არამედ ის უკვე ჩარიცხულ პირთა A და B ტიპის ჯგუფებში განაწილების ინსტრუმენტია მათი ენის ფლობის დონის გათვალისწინებით. აქედან გამომდინარე, პროგრამის აღწერაში გამოიყოს ცალკე გრაფა, ჯგუფებში ჩარიცხულ პირთა განაწილების პრინციპის შესახებ ინფორმაციისთვის ან ის მიეთითოს პროგრამის სტრუქტურის ნაწილში შენიშვნის სახით. ასევე შესაძლებელია, იმავე გრაფაში (პროგრამაზე დაშვების წინაპირობის გრაფა) შენიშვნის სახით გამოიყოს ეს ინფორმაცია და მიეთითოს, რომ აღნიშნული ტესტირების შედეგების საფუძველზე მოხდება უკვე ჩარიცხული სტუდენტების A და B ჯგუფებში გადანაწილება.</li> </ul>
<p><b>მტკიცებულებები/ინდიკატორები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ აკადემიური საბჭოს 2019 წლის 21 ოქტომბრის N55 დადგენილებით დამტკიცებული „ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა“ და სილაბუსები</li> <li>○ ერთიანი ეროვნული გამოცდების ცნობარი და სხვა საინფორმაციო საშუალებები</li> <li>○ სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი</li> </ul>
<p><b>რეკომენდაციები:</b></p> <p>პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია ასევე შიდასაუნივერსიტეტო ენის ფლობის დონის დამდგენი ტესტი. აღნიშნული ტესტირება არ წარმოადგენს პროგრამაზე დაშვების წინაპირობას, არამედ ის უკვე ჩარიცხულ პირთა A და B ტიპის ჯგუფებში განაწილების ინსტრუმენტია მათი ენის ფლობის დონის გათვალისწინებით. აქედან გამომდინარე, სასურველია, პროგრამის აღწერაში გამოიყოს ცალკე გრაფა, ჯგუფებში ჩარიცხულ პირთა განაწილების პრინციპის შესახებ ინფორმაციისთვის ან ის მიეთითოს პროგრამის სტრუქტურის ნაწილში შენიშვნის სახით. ასევე შესაძლებელია, იმავე გრაფაში (პროგრამაზე დაშვების წინაპირობის გრაფა) შენიშვნის სახით გამოიყოს ეს ინფორმაცია და მიეთითოს, რომ აღნიშნული ტესტირების შედეგების საფუძველზე მოხდება უკვე ჩარიცხული სტუდენტების A და B ჯგუფებში გადანაწილება.</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>
<p>შეფასება</p>

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ქათულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის/შერჩევის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის“ შესაბამისად. ბრძანების საფუძველზე პროგრამის შედგენა დაევალა საზოგადოებრივ მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტს, სადაც შეიქმნა პროგრამის სამუშაო ჯგუფი ფაკულტეტის პროფესორების შემადგენლობით.

ქართულ ენაში მომზადების პროგრამის შემუშავებაში გათვალისწინებულია დარგობრივი მიახასიათებელი, რის საფუძველზეც პროგრამა დაფუძნებულია დიფერენცირებული სწავლების პრინციპზე: განსხვავებული ენობრივი კომპეტენციის მქონე სტუდენტებს ეძლევათ საშუალება ისწავლონ განსხვავებული დატვირთვით პირველ სემესტრში, რათა დაძლიონ პროგრამით განსაზღვრული კურსები.

პროგრამა დაყოფილია ორ მოდულად (ერთ სემესტრში ერთი მოდული უნდა დაძლიოს სტუდენტმა): ქართული ენის სამეტყველო ფუნქციები 1 და ქართული ენის სამეტყველო ფუნქციები 2. მეორე სემესტრის საგნებს წინა სემესტრის კურსები აქვს წინაპირობად ლოგიკური თანმიმდევრობით.

პირველ სემესტრში პროგრამის ფარგლებში ისწავლება კურსები, რომლებიც მიემართება ენის ფლობის ოთხივე კომპეტენციის დაძლიებისკენ: წერა, კითხვა, ლაპარაკი, მოსმენა. მოდული მოიცავს დამატებით კომუნიკაციური ასპექტებზე დაყრდნობით გრამატიკის სწავლებას და მეტყველების კულტურის განვითარებას.

მეორე სემესტრში ცალკეულ კურსებში ისწავლება პრეზენტაციის ტექნიკები, აკადემიური წერის ელემენტები, ლიტერატურული ტექსტების წაკითხვისა და განხილვის საფუძველზე განსაზღვრულია კითხვის უნარების განვითარება. დამატებით დაგეგმილია დარგობრივი ენის სწავლება სტუდენტებისთვის სასურველი მიმართულებით, რათა სტუდენტმა შეძლოს მათთვის სასურველი მიმართულებით საბაკალავრო საფეხურზე სწავლის გაგრძელება.

მთლიანობაში კურსები ძირითადად გრამატიკული სტრუქტურების სწავლებაზეა აგებული. მეორე სემესტრში არ არის პროგრამის ფარგლებში განსაზღვრული მოსმენის კომპეტენციის გასავითარებელი კურსები, რაც ასევე საჭიროა ამ უნარის უფრო მაღალ დონეზე ასათვისებლად. ცალკეული კურსები ასათვისებლად შედარებით რთულია. აკადემიური მუშაობის ელემენტებისა და პრეზენტაციის ტექნიკების სწავლება კარგია სტუდენტების შემდგომ საფეხურზე მოსამზადებლად, თუმცა ამ შემთხვევაში საჭიროა კურსების ბ1+ და ბ2 დონეზე ადაპტირება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასურველია, პროგრამის შემადგელობაში შევიდეს კურსები, რომლებიც არა გრამატიკის სწავლებაზე, არამედ კომპეტენციების (მოსმენა, წერა, კითხვა, ლაპარაკი) განვითარებაზე იქნება მორგებული.

სასურველია, მეორე სემესტრისთვის განსაზღვრულ მოდულში დაემატოს მოსმენის კომპეტენციის განვითარებელი თემატიკა კურსებში.

სასურველია, ცალკეული კურსები(ფუნქციური წერის ელემენტები, ლექსიკა და კითხვის სტრატეგიები) რომლებიც საბაკალავრო საფეხურისთვის სტუდენტების შემზადებას გულისხმობს, იყოს თემატიკის მიხედვით ენის კომპეტენციის განვითარებაზე მორგებული, რათა დაძლევადი იყოს სტუდენტისთვის.

#### **მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- აკადემიური საბჭოს დადგენილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი „შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის/შერჩევის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესი“, „საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების წესი“
- ფაკულტეტის საბჭოს 2018 წლის 28 დეკემბრის #74 დადგენილებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის ოქმები, ფაკულტეტის საბჭოს ოქმი. 20.12.2018 ბრძანება სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ.
- „ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა“ და სილაბუსები
- • ინტერვიუ

**რეკომენდაციები:**

ვინაიდან პროგრამის მიზანი სხვა ენობრივ უნარებთან ერთად სტუდენტებში მოსმენის უნარის განვითარებაცაა, სასურველია, მეორე სემესტრისთვის განსაზღვრულ მოდულში დაემატოს მოსმენის კომპეტენციის განმავითარებელი კურსი ან ამავე სემესტრში განსაზღვრულ კურსებში დაემატოს მოსმენის კომპეტენციის განმავითარებელი თემატიკა.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

მეორე სემესტრისთვის განსაზღვრული კურსებში, სასურველია, თემატიკა ისე იყოს ადაპტირებული ენის სწავლებასთან, რომ სტუდენტებმა პრეზენტაციის, აკადემიური წერის უნარები შეისწავლონ ენის შესწავლაზე ორიენტირებული ტექსტებითა და თემატიკით. სტუდენტი დაეუფლოს სხვადასხვა ენის შესასწავლი თემებით პრეზენტაციას. შეისწავლონ აკადემიური მუშაობის ტექნიკები B1 და B2 დონის შესაბამისი თემატიკით.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

**2.3. სასწავლო კურსი**

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

ძირითადი პროგრამის კურსები შედგება პირველ სემესტრში 30 კრედიტის სავალდებულო კურსებისგან, მეორე სემესტრში 25 კრედიტია სავალდებულო, ხოლო 5 კრედიტი დარგობრივ არჩევით კურსებს ეთმობა. კურსებში განსაზღვრული საკონტაქტო საათების რაოდენობა და კრედიტის მოცულობა შესაბამისობაშია თითოეული კურსის მისაღწევ შედეგთან.

კურსების ნაწილის შედეგები და კომპეტენციები შეესაბამება პროგრამულ მიზნებს. კურსების შინაარსში დაგეგმილია დიფერენცირებულად ოთხივე სასწავლო კომპეტენციის განვითარება და შეთავაზებულია შესაბამისი თემატიკა: წერა, კითხვა, ლაპარაკი, მოსმენა. ცალკეული კურსების შემთხვევაში კურსის შინაარსი საჭიროების მოდიფიცირებას წარმოდგენილი პროგრამის სამიზნე ჯგუფის სპეციფიური საჭიროებების გათვალისწინებით, კერძოდ:

**ქართული ენის ორთოეპია და მეტყველების კულტურის საკითხები** - კურსი მთლიანად ეთმობა ბგერითი წარმოთქმისა და ფონეტიკის საკითხებს. ვფიქრობთ, 5 კრედიტის დათმობა მხოლოდ ბგერითი წარმოთქმის საკითხებზე გადაჭარბებულია.

**ფუნქციური წერის ელემენტები** - კურსი გულისხმობს აკადემიური წერის ელემენტების სწავლებას, კურსის შინაარსი უფრო საბაკალავრო საფეხურის სტუდენტებისთვის დაძლევად თემატიკას მოიცავს, რაც რთული დასაძლევი იქნება სტუდენტისთვის, რომელიც ჯერ კიდევ ენის შესწავლის პროცესში არიან.

**ლექსიკა და კითხვის სტრატეგიები** - კურსის თემატიკაში მითითებული ცალკეული ტექსტები დასაძლევად რთულია ბ1-ბ2 დონის შემსწავლელისთვის შესაბამისი ადაპტირების გარეშე.

**ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკა** - კურსის თემატიკა ისეა აგებული, რომ მხოლოდ სომხურენოვანი სტუდენტებისთვისაა განკუთვნილი. ბუნდოვანია, ამ თემატიკის კურსი რა მიზნით არის პროგრამაში, თუ სხვაენოვანი კონტიგენტი მოხვდება.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა
- პროგრამის სილაბუსები
- ინტერვიუები

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არჩევითი კურსი - ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკა - მთლიანად ეფუძნება სომხურენოვან დამხმარე ლიტერატურას. სასურველია, კურსის ფარგლებში მოძიებული იყოს ასევე ლიტერატურა სხვა ეთნიკური ჯგუფებისთვისაც - მაგალითად აზერბაიჯანულენოვანი სტუდენტებისთვის.

კითხვის სტრატეგიებში იყოს შესაბამისი სირთულის ან ადაპტირებული ტექსტები მითითებული. ლიტერატურული ტექსტები თუ არ იქნა შესაბამის დონეს მორგებული, რთული იქნება ასათვისებლად.

სასურველია, კურსის- ქართული ენის ორთოეპია და მეტყველების კულტურის საკითხები - თემატიკა ინტეგრირებული იყოს სხვა კურსში, აღნიშნული კრედიტი კი სხვა კომპეტენციის ათვისებას დაეთმოს.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება**

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურზე სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ საუკივერსიტეტო კონფერენციებში, ან თავად დაგეგმონ კონფერენცია და სხვა აქტივობები. შესაძლებლობა აქვთ აკადემიურ პერსონალთან ერთად იმუშაონ სამეცნიერო კვლევაში და გამოაქვეყნონ სტატიები ადგილობრივ ჟურნალში, რისთვის ქართულ ენაში მომზადების

თვითონ ქართულ ენაში მომზადების პროგრამა თავისთავად მოიცავს კომუნიკაციური და ტრანსფერული უნარების განვითარებას. დარგობრივი არჩევითი კურსები საბაკალავრო საფეხურისთვის ამზადებს სტუდენტებს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სამეცნიერო კვლევების განვითარების სტრატეგია
- სამეცნიერო განყოფილების სტრატეგიული გეგმა

<ul style="list-style-type: none"> <li>○ სასწავლო უნივერსიტეტში კვლევითი პროექტების გამოცხადებისა და დაფინანსების წესი</li> <li>○ სამეცნიერო პუბლიკაციის გამოქვეყნების, დაფინანსებისა და განკარგვის წესი</li> <li>○ სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციების მასალები</li> <li>○ მემორანდუმები</li> <li>○ ინტერვიუები</li> </ul>
<b>რეკომენდაციები:</b>
<p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p> <p>სასურველია, ქართულ ენაში მომზადების სტუდენტებისთვის კურიკულუმის ფარგლებში დაიგეგმოს გარე აქტივობები ქალაქში (მინი პროექტები), რაც სტუდენტებს შესაძლებლობას მისცემს გაეცნონ ადგილობრივ ყოფა ცხოვრებას, დაწესებულებებს, რაც ხელს შეუწყობს მათ გარემოში ინტეგრაციას.</p>
<b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b>
<b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b>
<p><b>შეფასება</b></p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p><b>2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები</b></p>
<p>პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.</p>
<p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>პროგრამის ყველა სასწავლო კურსში მითითებულია შემდეგი სწავლების მეთოდები: ლექცია, პრაქტიკული სამუშაო, პრაქტიკული მუშაობა, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დავალებაზე ორიენტირებული სწავლება. ცალკეულ კურსებში გაუგებარია პრაქტიკული სამუშაო და პრაქტიკული მუშაობა რას გულისხმობს.</p>

<p>ვინაიდან სწავლების მეთოდები ერთიანია ყველა სასწავლო კურსისთვის, მწირად ასახავს რეალურ საგაკვეთილო პროცესს.</p>
<p><b>მტკიცებულებები/ინდიკატორები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა</li> <li>პროგრამის სილაბუსები</li> </ul>
<p><b>რეკომენდაციები:</b></p>
<p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p> <p>სასურველია, კონკრეტული სილაბუსისთვის სწავლების მეთოდები გააზრებული და გაწერილი იყოს ინდივიდუალურად.</p> <p>სასურველია, პროგრამის განმახორციელებელი ლექტორები დაეყრდნონ უცხოური ენის (მაგ.: ინგლისური, გერმანული) სწავლების თანამედროვე მეთოდებს, გაიარონ კონსულტაციები ინგლისური ენის პრაქტიკოს პედაგოგებთან ან ენის ცენტრებთან (მაგ.: ბრიტანეთის საბჭო) და კურსებში კომუნიკაციურ სწავლებაზე ორიენტირებული შინაარსის თემატიკა დაგეგმონ.</p>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p>
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p>
<p><b>შეფასება</b></p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p><b>2.6. სტუდენტების შეფასება</b></p>
<p>სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.</p>
<p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>სტუდენტების შეფასების სისტემა დამტკიცებულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით. პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის</p>



შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად და განაწილებულია 100 ქულაზე. შუალედური შეფასებების კომპონენტების ზღვარი არ აღემატება 60% -ს. აღნიშნულ წესში განსაზღვრულია შუალედური და დასკვნითი შეფასების კომპონენტები. კონკრეტულად ქართულ ენაში მომზადების პროგრამის შემთხვევაში შეფასების სისტემა ყველა კურსის შემთხვევაში აღნიშნული წესის მიხედვითაა გაწერილი. ამასთან შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი შეფასებების წილიც ყველა კურსში ერთნაირადაა განსაზღვრული და ერთნაირად გაწერილი. მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

სამუშაო ჯგუფში მუშაობა: 45 ქულა. შუალედური წერითი გამოცდა -25 ქულა, რომელიც მოიცავს ტესტს და თეორიულ საკითხს. დასკვნითი შეფასება, ასევე მოიცავს ტესტს და თეორიულ საკითხს: 30 ქულა. შეფასებაში არ არის გათვალისწინებული ცალკეული კურსების სპეციფიკა.

ვინაიდან უნივერსიტეტის პერსონალს აღნიშნული პროგრამა ჯერ არ განუხორციელებია, არ ფლობს გამოცდილებას აღნიშნული მიმართულებით, მაგრამ გამოთქვამს მზაობას, სპეციფიკის მიხედვით მოარგოს შეფასება კურსებს.

უნივერსიტეტში ინტეგრირებულია მართვის ელექტრონული სისტემა ელ-ემ-ეს. გარდა ამისა პერსონალი აქტიურად იყენებს მუდლის პორტალს და აძლევს უკუკავშირის სტუდენტებს ამ პორტალის საშუალებით.

სტუდენტებთან ინტერვიუებიდანაც გამოჩნდა, რომ ისინი აქტიურად იღებენ უკუკავშირის მუდლის საშუალებით. იცნობენ განმავითარებელ შეფასებას, რაც წინაპირობაა სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისთვის. იღებენ ლექტორებისგან გასაჩივრების შემთხვევაში შესაბამის განმარტებებს და მათი შეფასების გადახედვა და განხილვა ხდება თავიდან.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- გამოცდების ჩატარებისა და გამოცდების შედეგების გასაჩივრების წესი. 14.07.2018;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი. 08.05.2018;
- ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის სილაბუსები;
- ინტერვიუები პროგრამის განმახორციელებელ პირებთან;
- ინტერვიუები სტუდენტებთან;
- სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა: ელ-ემ-ეს.

**რეკომენდაციები:**

სასურველია, შეფასების კომპონენტები ინდივიდუალურად იყოს მორგებული ცალკეულ კურსებზე სპეციფიკის გათვალისწინებით. ვინაიდან პროგრამა პრაქტიკულ კურსებს მოიცავს, ხშირ შემთხვევაში გაუგებარია რას მოიცავს თეორიული შეფასება მსგავს კურსებში. სასურველია მაგალითად მოსმენის კურსში შეფასდეს მოსმენის კომპეტენციები. წერის ან კითხვის კურსშიც ინდივიდუალური შეფასებები იყოს გაწერილი.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

### პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		

### 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

<p><b>3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება</b></p> <p>სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.</p> <p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p>
--

უნივერსიტეტი გამოირჩევა მაღალი ჩართულობით და სტუდენტების საჭიროებების ინდივიდუალური მიდგომით სასწავლო პროცესის მსვლელობისას, რაც შემდგომში აისახება სტუდენტების კმაყოფილებასა და სწავლის ხარისხზე.

აკადემიური პერსონალის დატვირთვაში გათვალისწინებულია სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობა. სტუდენტებს აქვთ საკონსულტაციო საათები. შეუძლიათ მიმართონ ნებისმიერ დროს ლექტორს.

სტუდენტების სასწავლო პროცესთან დაკავშირებით ინფორმირებაზე და ადმინისტრაციული საკითხების გადაჭრასთან დაკავშირებულ საკითხებზე ჩართულია ფაკულტეტის პროფესორაც და ადმინისტრაციაც.

ფუნქციონირებს მართვის ელექტრონული სისტემა ელ-ემ-ეს -ი სადაც ასევე იღებენ სტუდენტები ინფორმაციას სასწავლო კურსებისა და მათი შეფასებების შესახებ.

სტუდენტებს აქვთ ხელშეწყობა, რათა დაამუშავონ თემები და მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ საუნივერსიტეტო კონფერენციებში. ისინი დამოუკიდებლად გეგმავენ კონფერენციებს და სხვადასხვა გარე აქტივობებს.

ტარდება ზაფხულისა და ზამთრის სკოლების სტუდენტობისთვის.

სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ლექტორებთან ერთად განახორციელონ კვლევა და დაწერონ სტატიები ერთბლივად.

გარდა ამისა, უნივერსიტეტს აქვს საერთო საცხოვრებელი სტუდენტობისთვის. არის ცალკე შვილიანი სტუდენტობისთვის ბავშვის დატოვების შესაძლებლობა სწავლის პერიოდში. აღნიშნულ ბაგა-ბაღში პრაქტიკას გადიან ადგილობრივი სტუდენტებიც, რაც მიუთითებს იმაზე, რომ უნივერსიტეტი მის ფარგლებში არსებულ სივრცეს და შესაძლებლობებს მაქსიმალურად ეფექტიანად იყენებს.

სტუდენტები იღებენ გამოცდების ჩაბარების ინდივიდუალურ გრაფიკს საჭიროების შემთხვევაში.

უნივერსიტეტში მოქმედებს კარიერული დაგეგმვის სერვისი. არის სხვადასხვა გადამზადების კურსები.

#### **მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ინტერვიუ სტუდენტებთან;
- ინტერვიუ აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან;
- აკადემიური საბჭოს დადგენილებით დამტკიცებული „აკადემიური პერსონალის ზღვრული დატვირთვის წესი“.
- სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა;
- აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- ადმინისტრაციულ პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები/დებულებები;
- ვებ-გვერდზე განთავსებული მასალები.
- სტუდენტური მომსახურების ლაბორატორია, სერვისცენტრები, სამეცნიერო კონფერენციის მასალა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ზაფხულისა და ზამთრის სკოლის ფარგლები განხორციელებული ვორქშოპების ამსახველი მასალები.
- შრომათა კრებულები.

#### **რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
<p><b>შეფასება</b></p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<b>3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა</b>
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამა არ ითვალისწინებს აღნიშნულ სტანდარტს.
<b>მტკიცებულებები/ინდიკატორები</b>
<b>რეკომენდაციები:</b>
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
<p><b>შეფასება</b></p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

#### 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

##### 4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

##### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირები - პროგრამის ხელმძღვანელი, აკადემიური და მოწვეული პერსონალი განაწილებულები არიან სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის წესის მიხედვით.

შიდა რეგულაციებით განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელის დებულება. აღნიშნული რეგულაციები განსაზღვრავენ პროგრამაში ჩართული ზემოაღნიშნული პირების საკვალიფიკაციო მოთხოვნებსა და ფუნქციებს.

როგორც მტკიცებულებად წარმოდგენილი დოკუმენტების (ავტობიოგრაფიები) შესწავლისას, გამოიკვეთა, პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები, ძირითად შემთხვევაში, ადგილობრივ სამეცნიერო საუნივერსიტეტო ჟურნალშია გამოქვეყნებული.

პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 5 პერსონალი. მათ შორის 2 პროფესორი, 3 მოწვეული პერსონალი. აღნიშნული რაოდენობა ადეკვატურია სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებაში და უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც ამავე დროს არის უნივერსიტეტთან აფილირებული პროფესორი. პროგრამის ხელმძღვანელის პირადი დოკუმენტაციის განხილვის შედეგად, დგინდება, რომ მას გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, მისი კვალიფიკაცია დასტურდება მიმართულების/დარგის შესაბამისი განათლებით.

სტუდენტების რეფლექსია მათი მხარდამჭერი სერვისებისა და შესაბამისი პერსონალის მომსახურების შესახებ ადასტურებს მათ კმაყოფილებას. სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან დაკავშირებულ საკითხებზე ისინი პროგრამის კოორდინატორს მიმართავენ. კურსის შინაარსთან, მიმდინარე აქტივობებთან და დავალებებთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარების მიზნით კურსის ხელმძღვანელებს - ლექტორებს განსაზღვრული აქვთ საათები ინდივიდუალური შეხვედრებისთვის. სტუდენტები აღნიშნავენ, რომ გარდა ამ საათებისა, ნებისმიერ დროს შეუძლიათ ლექტორს შეუთახნმდნენ დამატებითი შეხვედრებისთვის და მათთვის მოსახერხებელ დროს შეხვდნენ მას. სტუდენტები იხსენებენ ასევე შემთხვევას, როდესაც მათ შეფასება გააპროტესტეს და ლექტორისგან შედეგის დასაბუთება მოითხოვეს. სტუდენტები პოზიტიურ გამოცდილებად მიიჩნევენ აღნიშნულ შემთხვევას, რადგან ლექტორის დასაბუთება იმდენად არგუმენტირებული და კონსტრუქციული იყო, რომ მათში კითხვები და უსამართლობის შეგრძნება არ დატოვა.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ აკადემიური პერსონალი ჩართულია ადმინისტრაციულ საქმიანობაშიც. მაგ.: სტუდენტთა მობილობისას პროგრამის ხელმძღვანელი ახორციელებს გავლილი კურსების თავსებადობის დადგენას

შესაბამისი პროგრამის მიზნებთან. აკადემიური პერსონალი ჩართულია პროგრამების, უნივერსიტეტის პოპულარიზაციის ხელშემწყობ აქტივობებში - შეხვედრები აბიტურიენტებთან და ა.შ.

#### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის თვითშეფასება;
- სამუშაო აღწერილობები - CV-ები;
- აკადემიური/სამეცნიერო/ მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემა და აკადემიური თანამდებობის პირის ინდივიდუალური დატვირთვის მაჩვენებელი;
- პროგრამის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები, ხელშეკრულება და პირადი საქმე;
- ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის პირადი საქმეები;
- ინტერვიუს შედეგები.

#### რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

#### საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

#### შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

#### 4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

სასწავლო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს და უკვე დანერგილია აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის შეფასების მექანიზმი. აღნიშნული მექანიზმების მიხედვით, უნივერსიტეტი განსხვავებულ მოთხოვნებს უყენებს უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს, უნივერსიტეტთან აფილირებულ პერსონალს და ადმინისტრაციულ პერსონალს. აკადემიური და უნივერსიტეტთან აფილირებული პერსონალის შემთხვევაში აქცენტირებულია კვლევითი და სამეცნიერო საქმიანობა და შესაბამისი გამოცდილების დანერგვა სასწავლო პროცესში. ხოლო ადმინისტრაციული პერსონალის შემთხვევაში, რეგულაცია და შესაბამისი ინსტრუმენტი აფასებს მათ მიერ შესრულებული საქმიანობის ხარისხს.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ შეფასების შედეგების გათავლისწინებით ხდება ადმინისტრაციული პერსონალის ფუნქციების გადახედვა ან/და მათი დაწინაურება. აღნიშნული წარმოადგენს წახალისებს ერთგვარ ფორმას.

უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან ინტერვიუს შედეგად დგინდება, რომ სწორედ აღნიშნული შეფასების შედეგებზე დაყრდნობით უნივერსიტეტი გეგმავს სამეცნიერო პერსონალის საჭიროების იდენტიფიცირებას და შესაბამისი პროფესიული განვითარების აქტივობების - ტრენინგების, კონფერენციების და სხვა დაგეგმვას.

ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ უნივერსიტეტმა გაზარდა აკადემიური პერსონალის დაფინანსება სამეცნიერო კვლევების მიმართულებით. საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში სტატიის გამოქვეყნება პრიორიტეტი გახადა, რაც ასახულია უნივერსიტეტის ბიუჯეტში.

უნივერსიტეტი ჩართულია საერთაშორისო პროექტებში, რომლებიც მიმართულია აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებისკენ, სწავლების უახლესი მეთოდებისა და სტრატეგიების დანერგვაზე, აკადემიური კეთილსინდისიერების დამკვიდრებაზე და სხვ.



<p><b>მტკიცებულებები/ინდიკატორები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ თვითშეფასების დოკუმენტი;</li> <li>○ ინტერვიუს შედეგები;</li> <li>○ „პერსონალის მართვის პოლიტიკა“;</li> <li>○ პერსონალის შეფასების პოლიტიკა;</li> <li>○ მიმდინარე პროექტების აღწერები.</li> </ul>
<p><b>რეკომენდაციები:</b></p>
<p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p>
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p>
<p><b>შეფასება</b></p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p><b>4.3 მატერიალური რესურსი</b></p>
<p>პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.</p>
<p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>პროგრამა უზრუნველყოფილია სათანადო საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსით, რაც პროგრამის ძლიერ მხარეს წარმოადგენს. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მტკიცებით, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის რეაკრედიტაციისთვის მზადებისას მოხდა დამხმარე ლიტერატურის შესყიდვა.</p>

ინტერვიუების მიმდინარეობისას შემთხვევითი შერჩევის პრინციპით შევარჩიეთ სასწავლო კურსის სილაბუსი და გადავამოწმეთ აღნიშნული კურსისთვის გათვალისწინებული ლიტერატურის ხელმისაწვდომობა უნივერსიტეტის ელექტრონული ბაზის საშუალებით. შერჩეული სახელმძღვანელოების ნაწილი ხელმისაწვდომი იყო ელექტრონულად, ხოლო ნაწილის მოძიება ვერ მოხერხდა. სტუდენტები ადასტურებენ, რომ ყველა სახელმძღვანელო არ არის ელექტრონულად, რაც ურთულეს მათ ძირითად და დამხმარე ლიტერატურაზე ხელმისაწვდომობას.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს სტუდენტებისა და სამეცნიერო პერსონალის წვდომას საერთაშორისო უცხოურ სამეცნიერო ბაზებთან.

სტუდენტებთან ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ ინფორმაცია საბიბლიოთეკო რესურსების გამოყენების შესაძლებლობების შესახებ სტუდენტებს მიეწოდებათ სწავლის დაწყებისას საორიენტაციო შეხვედრებზე, ინფორმაცია ეგზავნებათ მეილის საშუალებით და სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის საშუალებით.

პროგრამის სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია კომპიუტერული ლაბორატორიები, აუდიტორიები, რომლებიც აღჭურვილია კომპიუტერით, მონიტორით და სხვა აუცილებელი ინვენტარით. სტუდენტებისთვის განკუთვნილია ასევე თავისუფალი სივრცე.

ინტერვიუების შედეგად აღმოჩნდა, რომ უნივერსიტეტში არის სივრცე, რომელიც აღჭურვილია ადრეული და სკოლამდელი ასაკის ბავშვის გასართობი ინვენტარით. აღნიშნულ სივრცეს ემსახურება სპეციალისტი და მიზნად ისახავს სტუდენტი დედების განათლების ხელშეწყობას. შვილიან სტუდენტებს შეუძლიათ მათი ლექციებზე ყოფნის პერიოდში, შვილი დატოვონ აღნიშნულ სივრცეში.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასება;
- ინტერვიუები;
- მატერიალურ ტექნიკურ ბაზის აღრიცხვის დოკუმენტაცია.

**რეკომენდაციები:**

<p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p> <p>უნივერსიტეტში არის სივრცე, რომელიც აღჭურვილია ადრეული და სკოლამდელი ასაკის ბავშვის გასართობი ინვენტარით. აღნიშნულ სივრცეს ემსახურება სპეციალისტი და მიზნად ისახავს სტუდენტი დედების განათლების ხელშეწყობას. შვილიან სტუდენტებს შეუძლიათ მათი ლექციებზე ყოფნის პერიოდში, შვილი დატოვონ აღნიშნულ სივრცეში.</p>
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p>
<p><b>შეფასება</b></p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p><b>4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა</b></p>
<p>პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.</p>
<p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>პროგრამას არ აქვს დამოუკიდებელი ბიუჯეტი. პროგრამის ხარჯები გათვალისწინებულია სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებულ სამწლიან სამოქმედო გეგმის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების ბიუჯეტში. აღნიშნული ბიუჯეტით გათვალისწინებულია ასევე ახალი პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების ხარჯები. მათ შორის „ქართულ ენაში მომზადების“ საგანამნათლებლო პროგრამის“ შემუშავებისა და განხორციელების ხარჯები.</p>

„ქართულ ენაში მომზადების“ საგანამნათლებლო პროგრამა“ სუბსიდირებულია უნივერსიტეტის მიერ.

პროგრამა უნივერსიტეტის მისიის და მიზნების მიღწევისთვის სტრატეგიულ მნიშვნელობას ატარებს, ამდენად მისი დაფინანსება არ ფერხდება.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასება
- ინტერვიუები
- ბიუჯეტი

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			

**5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები**

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

### 5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

#### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფა ეფუძნება პრინციპს დაგეგმე, იმოქმედე, შეამოწმე, განახორციელე. აღნიშნული პრინციპის გათვალისწინებით, სწავლების ხარისხის უზრუნველყოფას ახორციელებს უნივერსიტეტის ხარისხის სამსახური შესაბამისი სპეციალისტების ჩართულობით (პროგრამის ხელმძღვანელები, აკადემიური და მოწვეული პერსონალი).

ხარისხის გასაზომად და საჭიროების იდენტიფიცირების მიზნით უნივერსიტეტი ატარებს სტუდენტთა გამოკითხვას ყოველი სემესტრის ბოლოს. სტუდენტებთან ინტერვიუ ცხადყოფს, რომ სტუდენტები სემესტრის ბოლოს აფასებენ ლექტორს, კურსს და საშუალება ეძლევათ ღია კითხვების ნაწილში გამოთქვან საკუთარი მოსაზრებები სასწავლო პროცესის შესახებ.

ხარისხის უზრუნველყოფის სახმსახურს შემუშავებული აქვს სამოქმედო გეგმა, რომელიც აღწერს იმ განსახორციელებელ აქტივობებს, რომელიც დაგეგმილია მიმდინარე სასწავლო წელს. აღნიშნულ გეგმაში ასახულია უნივერსიტეტის ფუნქციონირების თითქმის ყველა კომპონენტი - სასწავლო კურსების შინაარსის და შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, საერთაშორისო პროექტებში ჩართულობის ხელშეწყობა, კვლევების ჩატარება და სხვ.

ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ აკრედიტაციისა და ავტორიზაციის ახალ სტანდარტებზე მორგებული შიდა ხარისხის მექანიზმებზე დაყრდნობით განხორციელდა უკვე სხვა პროგრამების შეფასება. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ აღნიშნული რეგულაციები და წესები ეფექტური აღმოჩნდა პროგრამის შესაფასებლად.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პროგრამის სწავლის შედეგებისა და ხარისხის შეფასებასა და ინტერვენციების დანერგვას ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შესაბამისი სპეციალისტების დახმარებით. გამომდინარე იქიდან, რომ უნივერსიტეტი ახორციელებს საკმაო რაოდენობის პროგრამას, მხოლოდ ერთი სამსახურის მიერ განხორციელებული ხარისხის შეფასების პროცესი შეიძლება შრომატევადი აღმოჩნდეს, რაც აისახება განხორციელებული საქმიანობის ხარისხზე. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისა და ხარისხის უზრუნველყოფის ნაწილში, სასურველია, შესაბამის დადგენილებებში მკაფიოდ გამოჩნდეს პროგრამის ხელმძღვანელი როლი პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში.

- მტკიცებულებები/ინდიკატორები**
- შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
  - თვითშეფასება;
  - ინტერვიუები

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- შეფასება**
- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  - ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  - არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**5.2 გარე ხარისხის შეფასება**

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

გარე ხარისხის შეფასების მექანიზმებს საუნივერსიტეტო დონეზე წარმოადგენს ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესი.

როგორც ინტერვიუებიდან გამოიკვეთა, აღნიშნული პროგრამის შეფასება არ მოხდა დაინტერესებული მხარეების მიერ, თუმცა პროგრამის სამუშაო ჯგუფმა განახორციელა სამაგიდე კვლევა, რომლის ფარგლებშიც მათ შეისწავლეს სხვა ანალოგები, სხვა უნივერსიტეტების გამოცდილება და ამ გამოცდილებაზე გათვალისწინებით შეიმუშავეს პროგრამა.

სასურველია, შემუშავებული პროგრამის შეფასება განახორციელონ დაინტერესებულმა მხარეებმა - მომიჯნავე პროგრამების სტუდენტებმა / კურსდამთავრებულებმა, დამსაქმებლებმა და სხვ. წინამდებარე პროგრამის შემთხვევაში კი, მისი შეფასება შეიძლებოდა განხორციელებულიყო პარტნიორი უნივერსიტეტის და საერთაშორისო ენების შემსწავლელი ცენტრის მიერ.

პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი შესაძლებელს ხდის გაანალიზდეს აკრედიტაციის სტანდარტებთან პროგრამის შესაბამისობის ხარისხი. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, აღნიშნულ დოკუმენტში დეტალურად იყოს აღწერილი პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით. ინტერვიუებიდან დგინდება, რომ თვითშეფასების დოკუმენტი სრულად არ ასახავს უნივერსიტეტის შესაძებ ყველა მნიშვნელოვან ინფორმაციას. სასურველია თვითშეფასების დოკუმენტი იყოს უფრო მეტად ინფორმაციული, სადაც დეტალურად იქნება აღწერილი პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით და მოყვანილი იქნება რელევანტური მტკიცებულებები და გაზომვადი მახასიათებლები.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასება
- ინტერვიუები

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასურველი იქნებოდა, შემუშავებული პროგრამის შეფასება განხორციელებინა პარტნიორ უნივერსიტეტს ან რომელიმე საერთაშორისო ენების ცენტრს (ბრიტანეთის საბჭო, გოეთეს ინსტიტუტი და სხვ. ).

- პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი წარმოადგენს ინსტრუმენტს, რომელიც საშუალებას იძლევა გაანალიზდეს აკრედიტაციის სტანდარტებთან პროგრამის შესაბამისობის ხარისხი. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, აღნიშნულ დოკუმენტში დეტალურად იყოს აღწერილი პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით. ინტერვიუებიდან დგინდება, რომ თვითშეფასების დოკუმენტი სრულად არ ასახავს უნივერსიტეტის შესახებ ყველა მნიშვნელოვან ინფორმაციას. სასურველია, თვითშეფასების დოკუმენტი იყოს უფრო მეტად ინფორმაციული, სადაც დეტალურად იქნება აღწერილი პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით და მოყვანილი იქნება რელევანტური მტკიცებულებები და გაზომვადი მახასიათებლები.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება**

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.



## სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგის და შეფასების ყველაზე აქტიური ფორმაა დაინტერესებული მხარეების გამოკითხვა, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების, სამეცნიერო და ადმინისტრაციული პერსონალის მოსაზრებების მოკრება და შეჯერება. გროვდება და ანალიზდება კვლევის მასალები, ხოლო შედეგები გამოიყენება პროგრამებში ცვლილებების გასახორციელებლად.

პროგრამების მონიტორინგის ერთ-ერთ ინსტრუმენტს წარმოადგენს სწავლის შედეგების შეფასება პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდებით. შეფასების შედეგები დინამიურად აისახება პროგრამებში. კომპეტენციების რუკის დახმარებით იზომება კონკრეტული სასწავლო კურსის წვლილი პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაში. ამავე დროს, კომპეტენციების რუკა აჩვენებს საგანმანათლებლო პროგრამის ძლიერ და სუსტ მხარეებს, რომელიც მნიშვნელოვანი მექანიზმია პროგრამის სწავლის შედეგების რეალისტურობის და განხორციელებადობის გასაზომად.

რაოდენობრივი ანალიზის საგანს უნივერსიტეტში წარმოადგენს სტუდენტთა აკადემიურ მოსწრების (ქულების) და დასაქმების მაჩვენებლები. ტენდენციების გამოკვეთის, გაანალიზებისა და დასკვნის საფუძველზე ხოციელდება მიზეზების დადგენა და, საჭიროების შემთხვევაში, რეკომენდაციების ჩამოყალიბება.

გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამას არ ყავს და კურსდამთავრებული და სტუდენტი, უნივერსიტეტმა ვერ წარმოადგინა უმალოდ პროგრამის ფარგლებში განხორციელებული მონიტორინგის შედეგები, თუმცა განხორციელების შემთხვევაში, პროგრამის განხორციელების შემთხვევაში, მასზე გავრცელდება ზემოაღნიშნული წესი.

### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- შიდა ხარისხის მექანიზმების ამსახველი დოკუმენტები;
- თვითშეფასება
- უნივერსიტეტის ვებგვერდი

### რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
<p><b>შეფასება</b></p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

**თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)**

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:

დასკვნის გვერდების რაოდენობა:

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარი

სახელი, გვარი, ხელმოწერა: მიხეილ გიორგაძე



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა: ელენე კიკალიშვილი



სახელი, გვარი, ხელმოწერა

სახელი, გვარი, ხელმოწერა

სახელი, გვარი, ხელმოწერა